პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 4 (11918) | ხუთშაბათი, 5 იანვარი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ, ᲒᲐᲜᲕᲛᲐᲠᲢᲝᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲛᲐᲚᲔ ერთი თვე გავა მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის მიერ მიღებული განცხადება და მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი.

დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის ამ თვალსაჩინო დოკუმენტებისა დ მ ი მიპყრობილია მთელი კაცობრიობის ყურადღება. ისინი აღაფრთოვანებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა ნათელი მომავლისათვის საბრძოველად. საბჭოთა ადამიანები დიდი ინტერესით და ერთსულოვანი მოწონებით განიხილავენ და სწავლობენ თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. განცხადებამ და მიმართვამ მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი საბჭოთა ადამიანებში პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია.

ამას წინათ პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის შედეგები, სკკპ დელეგაციის საქმიანობა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელი კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლებენ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, განახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს.

ამ დღეებში ასევე დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში გაიმართა სამხრეთ ოსეთის, ფოთის და რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებები, რომლებიც მიეძღვნა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის შედეგების განხილვას.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ გაშალონ ფართო პროპაგანდისტული მუშაობა თათბირის დოკუმენტების გარშემო, თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე, ამ ისტორიულ დოკუმენტებში გაკეთებული დასკვნები დააყენონ მთელი პოლიტიკური და აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ განცხადებისა და მიმართვის ძირითადი იდეები ყოველი კომუნისტის, ყოველი საბჭოთა ადამიანის კუთვნილება გახდეს.

საჭიროა ლექციებში, მოხსენებებში, მეცადინეობაზე პარტიული განათლების ქსელში განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ თათბირის შემოქმედებითს წვლილზე მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, პოპულარიზაცია გავუკეთოთ განცხადების დასკვნებს თანამედროვე ეპოქის ხასიათისა და ძირითადი შინაარსის, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალების შესახებ. გასაგებად და ღრმად უნდა ვუჩვენოთ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დაქვეითებისა და გახრწნის პროცესი, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი ეტაპის თავისებურება, კაპიტალ ი ს ტ უ რ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის გაძვეავება, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება.

გულდასმით შევისწავლოთ და განვმარტოთ მსოფლიო-სოციალისტური სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპის დახასიათება, რომელიც თათბირმა მოგვცა, მისი შემდგომი განმტკიცების გზები, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში მარქსისტულ-ლენინური პარტიების ამოცანები. მასებთან პოლიტიკურ და აღმზრდელობით მუშაობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ თათბირის მითითებით, რომ საჭიროა მტკიცე შეტევა იდეოლოგიურ ფრონტზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტების შესწავლისა და განმარტებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოიებს. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები. საუბრები თათბირის მასალების შესახებ. განცხადებისა და მიმართვის შესწავლას უკვე შეუდგნენ პარტიული განათლების სისტემაში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. იანვარსა და თებერვალში თათბირის ისტორიულ დოკუმენტებს მიეძღვნება 5-6 მეცადინეობა წრეებსა და პოლიტსკოლებში, დაწყებით ეკონომიურ სკოლებსა და წრეებში თათბირის მასალების შესწავლა მოეწყობა კოლექტიური კითხვის, ცოცხალი საუბრის და კითხვა-პასუხის სახით. თეორიულ სემინარებში მოეწყობა ორი-სამი მეცადინეობა თემებზე: თანამედროვე ეპოქის ძირითადი შინაარსი და მისი დახასიათება; ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი ომის მომზადების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ; მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე კომუნისტური პარტიების ერთიანობა და დარაზმულობა მათი ძალისა და უძლეველობის წყაროა. ამ თემებზე ერთი-ორი სემინარული მეცადინეობა მოეწყობა საღამოს უნივერსიტეტებში. ამ ისტორიული დოკუმენტების ღრმად შესწავლა ხელს შეუწყობს პოლიტიკური სწავლების იდეური დონის ამაღლებას, ეხმარებასთან. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცებას.

პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ვალია თათბირის მასალების ახსნა-განმარტების საქმეში დამატებით ჩაბან იდეოლოგიურ მუშაკთა საუკეთესო კადრები, მოაწყონ მათთვის სპეციალური სემინარები და შეუნელებლად იზრუნონ მათი დაოსტატებისათვის.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტების მეზნებარე სიტყვების შეტანა მასებში ყოველი კომუნისტის საპატიო და ღვიძლი საქმეა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ ამ დოკუმენტების შინაარსისა და მნიშვნელობის განმარტება, რომ რესპუბლიკ ი ს მშრომელთა მთელი ენერგია და აქტივობა წარმართონ შვიდწლიანი გეგმის მესამე წლის დავალების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. გ. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრი, ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ამხ. **ალექსი გრიგოლის-ძე ჩიქოვანი** დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲙᲘᲠᲜᲔᲚᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ქ. თბილისი, 1961 წლის 4 იანვარი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲒᲪᲐ

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა გულითადად მიულოცა შრომითი გამარჯვება იმიერკარპატის ოლქის ირშავის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრებისათვის“ მერგოლურს სოციალისტური შრომის გმირს იური პიტრას და მისი რგოლის წევრებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში. 1960 წელს მათ 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 120 ცენტნერი მარცვალი და 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — ტაროებიანი სიმინდის მწვანე მასა 1523 ცენტნერი.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ თუ ამ რგოლის სახელოვან მაგალითს მიბაძა ათასობით სხვა კოლმეურნემ და საბჭოთა მეურნეობის მუშამ, უკრაინა 1961 წელს შეძლებს დამატებით მიიღოს მილიონობით ტონა მარცვალი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისათვის გაგზავნილ წერილში იური პიტრა, ატყობინებს რა რგოლის წარმატებებს, წერს, რომ შვიდწლეულის მესამე წელს რგოლმა ვალდებულება იკისრა 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 125 ცენტნერი მარცვალი სიმინდი და ას ჰექტარ ფართობზე 1600 ცენტნერი მწვანე მასა. (საკდესი).

ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ საქმის დაწყებით, ახალი ინიციატივის გამოჩენით აღნიშნეს თბილისელმა ელექტრომავალმშენებლებმა შვიდწლეულის მესამე წლის პირველი დღეები.

2 იანვრიდან საამქროებში გაჩაღდა მუშაობა ახალი ელექტრომავლის ასაწყობი კვანძებისა და დეტალების დამზადებაზე. ახალი ქართული ელექტრომავალი ტექნიკური მონაცემების მიხედვით 10 ტონით უფრო მსუბუქი, ამასთან 25 პროცენტით უფრო მძლავრი და საექსპლოატაციო თვისებებით უკეთესი იქნება, ვიდრე დღემდე წარმოებაში მყოფი რვაღერძიანი სამაგისტრალო ელექტრომავალია.

ტ-8-ს აწყობაზე გადაყვანილი არიან ამწყობ-ზეინკალთა მოწინავე ბრიგადები. 2 და 3 იანვარს ამ ბრიგადებს შორის საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ნოდარ გვარიშვილის და კოსტა გორდეევის ბრიგადებმა. ნოდარ გვარიშვილის ბრიგადამ იკისრა ელექტრომავლის მაღალი ძაბვის კამერების მოსაწყობად ლითონის ჩონჩხების გამართვა 6 იანვრისათვის. გორდეევის ბრიგადა 3 იანვარს შეუდგა ელექტრომავლის სამართავი პულტის კონსტრუქციის შეკვრას.

ახალი ქართული ელექტრომავლის აწყობის დაჩქარების უზრუნველსაყოფად მისაბაძი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინა ქარხნის ამწყობი საამქროს ოსტატმა გ. ჩაპლინსკიმ. მან იკისრა დროებით, სანამ ახალი ელექტრომავლის აწყობისათვის საჭირო იქნება, გადავიდეს ბრიგადირად და უხელმძღვანელოს ამწყობ-ზეინკლებს ელექტრომავლის ყველაზე პასუხსაგები კვანძების აწყობაში. უკვე ორი დღეა ოსტატი გ. ჩაპლინსკი ბრიგადირად მუშაობს. 2 იანვარს მისმა ბრიგადამ გაამზადა, ხოლო 3 იანვარს მღებავებს გადასცა ახალი ელექტრომავლის მემანქანის ჯიხურის ჩონჩხი. 3 იანვარს იმავე ბრიგადამ დაამთავრა ელექტრომავლის ძარასათვის ლითონკონსტრუქციების დაყენება.



ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲮᲔᲑᲘ

ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ შეუდგნენ 1961 წლის გადიდებული საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლას თბილისის ხახეხი ჩარხების ქარხანაში. წელს ამ ქარხნის კოლექტივს 25 პროცენტით გაუდიდეს გეგმა, ამასთან დაავალეს ახალი ტიპის პრეციზიული ჩარხების გამოშვების ათვისება.

ამ ქარხნის ცხოვრებაში დიდი სიახლეა ის, რომ ქარხანასთან ჩამოყალიბდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც დაკისრებული აქვს ახალი ავტომატური და ნახევრადავტომატური სახეხი ჩარხების დაპროექტება და მათი ათვისებისათვის ხელშეწყობა. 2 იანვრიდან საკონსტრუქტორო ბიურო, სადაც 40-მდე კონსტრუქტორია, შეუდგა მუშაობას.

როგორც ცნობილია, გასულ წლებში ამ ქარხნის კოლექტივი გვაძლევდა 2 მიკრონამდე სიზუსტის მრგვლად სახეხ ჩარხებს. წელს ქარხნის კოლექტივს დაკისრებული აქვს ათივეს 1 მიკრონის სიზუსტის (მიკრონი მილიმეტრის მეათასედია) მრგვლად სახეხი და ასეთივე სიზუსტის უნივერსალური ჩარხი.

იანვრის პირველ დღეებში ქარხანაში საუკეთესო მაჩვენებლებით მუშაობენ უშანგი გურგენიძისა და ანატოლი კოციუბინსკოს კომუნისტური შრომის ბრიგადები.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ წლის 6 დეკემბერს შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა, საახალწლოდ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა რამდენიმე ათეული ტონა მაღალხარისხოვანი ნართი, ასეულ ათასობით ქალის წინდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, ნედლეულისა და მასალების დაზოგვით მიიღო დიდძალი ზეგეგმითი ეკონომია და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

წელს კომბინატის კოლექტივმა შარშანდელთან შედარებით უნდა გამოუშვას 500 ტონით მეტი ნართი და 80 ტონა მაღალი ნომრის ძაფი.

ცვლებსა და ბრიგადებში ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრება გადიდებული ვალდებულების შესრულებისათვის. იანვრის პირველი დღეებიდანვე კომუნისტური შრომის ბრიგადებმა და ცალკეულმა დამკვრელებმა შუშაობის მაღალი ტემპი აიღეს და ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით იძლევიან პროდუქციას.

ბრიგადებს შორის ყველას გაუსწრეს მრთველთა იმ კოლექტივებმა, რომლებსაც ა. ხუბაშვილი, ვ. ლობჟანიძე და ა. ალექსიძე ხელმძღვანელობენ. ამ ბრიგადებმა ორ და სამ იანვარს დავალება 110 პროცენტით შეასრულეს.

წელს მეორე კვარტალში მწყობრში ჩადგება ტრიკოტაჟის წარმოება, რომელიც მაღალი ხარისხის ტრიკოტაჟს გამოუშვებს.

კომბინატის მთელი კოლექტივი, როგორც ერთი კაცი, მოუღლელად მუშაობს იმისათვის, რათა გასულ წელს მოპოვებული პირველობა არავის დაუთმოს.

ᲩᲕᲔᲜᲘ

რესპუბლიკის მშრომელები თვალსაჩინო შრომითი წარმატებებით შეხვდნენ შვიდწლედის მესამე წელს. ნაყოფიერი იყო გასული წელი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 6 ღუმელის მდნობელთა კომუნისტ ი რ ი შრომის ბრიგადის წევრის ზაურ ფერაძესა-თვის. მან ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა და ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს. მოწინავე მდნობელმა ახალი წელიც კარგი საწარმოო მაჩვენებლებით დაიწყო — ყოველდღიურ დავალებებს 107-108 პროცენტით ასრულებს.

მაღალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს გასულ წელს ქობულეთის რაიონის კვირიკეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმაც, მათ სახელმწიფოს 203 ტონაზე მეტი ციტრუსი ჩააბარეს, რაც თითქმის ორჯერ აღემატება 1959 წლის მოსავალს.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მკრეფავ ამალია ხელაძეს, რომელიც თავდადებული შრომით მეურნეობის მოწინაკე მუშაკთა მხარდამხარ მიაბიჯებს.

• • •

სურათებზე: (ზევით) მდნობელი ზაურ ფერაძე, (ქვეით) მკრეფავი ამალია ხელაძე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა) და ჯ. მახარაძისა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამსცღილი სამეცნიერო სესია.

სესიას დაესწრნენ საწარმოო ბრიგადე ბ ი ს ბრიგადირები, მერგ ო ლურები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყ ო ფილების კოლმეურნეობაში მომუშავე სტუდენტები, საკვებმოპოვების ბრიგადის წევრები და კოლმეურნეობის აქტივი, სულ ორასზე მეტი კოლმეურნე.

სესიაზე მოსმენილ იქნა დოცენტ ა. ჯაფარიძის მოხსენება თემაზე: „როგორ მოვიყვანოთ სიმინდის უხვი მოსავალი“, დოცენტ გ. ყრუაშვილისა — „მრავალწლიანი ბალახების მნიშვნელო ბ ა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში“, დოცენტ ბ. გაბუნიასი — „ერთწლიანი საკვები ბალახების სანაწვერა ლ ო თესვისათვის გამოყენების შესაძლებლობანი“.

მოხსენებების გარშემო თავიანთი აზრი გამოთქვეს ა. ბეგიაშვილმა, ბ. ჯალიაშვილმა, გ. ტალიაშვილმა, დ. ღვედელაშვილმა, ი. სოზაშვილმა, ასპირანტმა დ. ძოწენიძემ და სხვებმა.

კოლმეურნეებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებისათვის.

ნ. ᲨᲐᲠᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს კრემლში დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მოლაპარაკებაში მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

დელეგაციებმა განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები. მოლაპარაკება სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობს.

ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ



გაჩირაღდნებულია კრემლის ტაინიცის ბაღი. საღამოს ეს ბაღი განსაკუთრ ე ბ ი თ ლამაზად და საამურად გამოიყურება. ნამდვილად ზღაპრული უზარმაზარი თოვლის პაპა და დედაძიწის სფეროს თავზე დადგმული ნაძვისხე. ათასფრად მოხატულია ხის გოროკები და სპირალები.

3 იანვარს საღამოს სახელოსნო და ტექნიკურ სასწავლებელთა ასობით მოსწავლე ტკბებოდა ტაინიცის ბაღის ჩირაღდნებით, მისი სადღესასწაულო მორთულობით, როცა კრემლის დიდ სასახლეში მიემართებოდნენ.

სტუმრებს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. გაისმოდა მუსიკის, სიმღერის მხიარული ხმები.

ზეიმზე ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან მოვიდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. მასთან ერთად იყვნენ მისი ოჯახის წევრები და მისი პირველი მასწავლებელი სოფელ კალინოვკაში — ლიდია მიხეილის ასული შევჩენკო. გიორგის დარბაზში შეკრებილი ახალგაზრდობა მჭუხარე ტაშით მიესალმა ძვირფას სტუმარსა და მის თანმხლებთ.

საახალწლო ღღესასწაულის მასობრივი გართობის მთავარმა ორგანიზატორმა ევგენი გორსკიმ აუწყა სტუმრებს, რომ გამოდიან თოლეიები — პატარა ბალერინები. გოგონები ლამაზად ცეკვავენ ნაძვისხის გარშემო.

ბავშვთა დიდმა ჯგუფმა — სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეებმა ნიკიტა სერგის-ძესა და სხვა სტუმრებს მიართვეს საახალწლო საჩუქრები. ნიკიტა სერგის-ძემ ხელი ჩამოართვა ბავშვებს, მადლობა გადაუხადა მათ.

დაიწყო ინტერმედია — ზღაპრული წარმოდგენა „ჯადოსნური კალენდარი“, რომელიც შექმნეს რეჟისორმა მ. ლ. ლეინმა და მხატვარმა ლ. ა. ოკუნმა, ს. მ. ბოგომაზოვის სცენარის მიხედვით.

თოვლის ქალი (პუშკინის სახელობის თეატრის მსახიობი მარგარიტა ჟიგულინოვა) და თოვლის პაპა (რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ს. ვ. ბობროვი) მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, მიულოცეს მას ახალი წელი და უსურვეს ჯანმრთელობა.

ნიკიტა სერგის-ძემ სურათი გადაიღო თოვლის ქალთან, თოვლის პაპასთან და ზეიმის სხვა მონაწილეებთან ერთად.

დასასრულ გაიმართა დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მასწავლებელ ლ. მ. შევჩენკოსა და ოჯახის წევრებთან ერთად გაისეირნა კრემლში, დაათვალიერა სადღესასწაულოდ მორთული ტაინიცის ბაღის პანორამა. (საკდესი).

«ᲕᲘᲢᲘᲐᲖᲘ» ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲢᲠᲝᲞᲘᲙᲗᲐᲜ

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). შმობლიური ნაბორებიდან შორს შეხვდა ახალ წელს საექსპედიციო გემის „ვიტიაზის“ ეკიპაჟი. ექსპედიციის უფროსმა პროფესორმა პ. ლ. ბეზრუკოვმა რადიოგრამა გადმოსცა, რომელშიც ნათქვამია:

„შვიდწლედის მესამე წლის მიჯნაზე მეცნიერებმა დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები მოახდინეს. არაბეთის ზღვაში მუშაობის დროს ჰიდროქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ ვრცელ ფართობზე ჟანგბადის მინიმუმის შრეში არის გოგირდწყალბადი. გაწეულია დიდი მუშაობა ფიტოპლანქტონის გამოსაკვლევად. იხტიოლოგოებმა შეკრიბეს თევზების კოლექცია, რომელიც შეიცავს 250-ზე მეტი სახეობის თევზს. ბიოლოგებმა აღმოაჩინეს ათამდე უცნობი თევზებანი ფსკერის რელიეფისა — წყალქვეშა მთები, ეულ-კანები, ღრმულები. მოეწყო ფსკერის სიღრმისეული ფოტოგადაღება. გასაკვირვებათა შედეგები, რომლებიც მიღებულია სეისმური სამუშაოების საშუალებით. არაბეთის ზღვაში აღმოჩენილია ფსკერის მძლავრი ნალექები.

პროფესორი პ. ლ. ბეზრუკოვი იტყობინება ანრეთვე, რომ „ვიტიაზის“ 33-ე რეისის დაწყებიდან გაველილია ოცდაათი ათასზე მეტი მილი. შექმნილია ასზე მეტი ოკეანოგრაფიული სადგური. ახლა საექსპედიციო ხომალდი ციელონისაკენ მიდის.

ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲣᲒᲐᲜᲡᲙᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღმართულია რევოლუციის მებრძოლთა ძეგლი. ამ ძეგლზე ამოკვეთილია ბრძოლაში დაცემული გმირების — ლუგანსკის პროლეტარების სახელები. იქვე დგას მათი მეთაურის, სამოქალაქო ომის დივიზიის ლეგენდარული უფროსის ა. ი. პარხომენკოს ქანდაკება. მაღალის ქუდის ქვეშ მოჩანს უბრალო, მამაცური სახე, გადაგრეხილი ულვაშება, ულრიკი ნებისყოფის ადამიანის მკაცრი გამოხედვა.

დღეს შესრულდა ა. ი. პარხომენკოს დაღუპვის 40 წელი. გმირის ხსოვნის პატივსაცემად აქ მოვიდნენ ძველი ბოლშევიკები, ქალაქის მშრომელები, ახლომახლო სოფლების კოლმეურნეები, მოსწავლეები, მებრძოლები.

გმირის თანამებრძოლმა, სკკპ წევრმა 1905 წლიდან დიმიტრი პეტრეს-ძე ოსიპენკომ, რომელმაც აანთო აქ სამარადისო დიდების ცეცხლი, გააცნო ახალგაზრდობას შესანიშნავი მხედართმთავრის ცხოვრება.

როგორც კ. ე. ვოროშილოვი ხატოვნად ამბობს, პარხომენკოს სიცოცხლე იყო მშვენიერი ზღაპარი, პროლეტარული სოლსტვეთების სიდიადის სიმბოლო.

ალექსანდრე იაკობის-ძე პარხომენკოს ნეშტი ასვენია ქალაქის სკვერში, სადაც რევოლუციამდე იატაკქვეშელი კომუნისტები ხვდებოდნენ ერთმანეთს. პარხომენკოს სახელს ატარებს ქვანახშირის მანქანათმშენებელი ქარხანა, ლუგანსკის ერთ-ერთი პროსპექტი, საგარეუბნო სოფელი — გმირის სამშობლო.

ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲔᲗᲘᲝ�პᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). ადის-აბებიდან იუწყებიან, რომ ეთიოპიისა და სომალის რესპუბლიკის საზღვარზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. როგორც საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებში აღნიშნულია, კონფლიქტი ეთიოპიისა და სომალის საზღვარზე გამოიწვია იმან, რომ გადაჭრილი არ არის საკითხი სომალიელთა უფლებისა ისარგებლონ ძალალი მთის საძოვრებით ოგადენის პროვინციაში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მოგადიშოდან (სომალის რესპუბლიკა) იუწყება, რომ ეთიოპიის ხელისუფლებმა უბრძანეს სომალიელ ტომებს 7 იანვრამდე დატოვონ ეს რაიონები.

კორე ს პ ო ნ დენტის სიტყვით, ეთიოპიის ჯ ა რ ე ბ ისა და სომალიელი ტომების შეტაკებათა შედეგად მოკლულია 120 კაცი.

პარიზი, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯიბუტიდან იუწყება, ოგადენის რაიონში, სადაც შეიარაღებული შეტაკება მოხდა ეთიოპიის ჯარებსა და სომალიელ ტომებს შორის, სასწრაფო წესით თავს უყრიან ეთიოპიისა და სომალის ჯარებს.

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲕᲘᲜᲔᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (საკდესი). ახალ გვინეაში (ავსტრალიის სამეურვეო ტერიტორია) შეტაკება მოხდა სამხედრო პოლიციასა და ადგილობრივი ჯარების ჯარისკაცთა შორის, რომლებიც გამოეცხადნენ ქეჩაში და მოითხოვდნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

შეტაკება მოხდა მორსბის ნავსადგურის ახლოს. ჯარისკაცებმა რამდენჯერმე გაარღვ ე ს პოლიციელთა კორდონები და გადააყირავეს სამხედრო სატვი რ თ ო ავტომანქანები, რომლებითაც გადაღობილი იყო ქეჩები. პოლიციამ მიიღო მაშველი ძალები, გარეკა დემონსტრანტები და დააპატიმრა რამდენიმე ათეული კაცი.

რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1958 წელს აღგილობრივი ჯარების ჯარისკაცებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ავსტრალიელ ოფიცერთა ბრძანებებს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შეერთებულმა შტატებმა გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან.

კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ეს ნაბიჯი სპასუხო ღონისძიებაა კუბის მთავრობის იმ მოთხოვნის მიმართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეამციროს თავისი საელჩოს პერსონალი ჰავანაში 11 კაცამდე.

როგორც ცნობილია, კუბის რევოლუციურმა მთავრობამ მოთხოვნა ამერიკის შეერთებული შტატების ჰავანის საელჩოს პერსონალის შეზღუდვის შესახებ დაასაბუთა იმით, რომ ამერიკის საელჩოს თანამშრომელთა უმრავლესობა ჯაშუშობას ეწევა და ეხმარება კონტრრევოლუციურ ელემენტებს.

ᲡᲔᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). ბანგკოკიდან მიღებული ცნობებით, სეატოს საბჭოს დღევანდელი სხდომის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ პოლიტიკურ მხარდაჭერას გაუწევენ ბუნ უმ-ნოსავანის ოვითმარქვია მთავრობას, მაგრამ შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, რომ „მიზანშეწონილია“ თუ არა, რომ სეატომ დაუყოვნებლივ აშკარად დაუჭიროს მხარი მეამბოხეებს კაპიტან კონგ ლეს ჯარებისა და პატეტ-ლაოს მებრძოლი ნაწილების წინააღმდეგ.

ოფიციალურ ცნობაში სხდომის შესახებ ნათქვამია, რომ სეატოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გამონახოს ლაო

ლირსეული შეხვედრა პლენუმს!

შრომაში გამარჯვებული სიახლეთა ძალა

ივანე ბაიდოშვილი სიამოვნებით იგონებს იმ დღეს, როცა ტოლ-ბიჭებთან, საკინძჩამოწყვეტილი, ფეხშიშველი, სოფელ მაღაროში პირველად მოტანილი ტრაქტორის მიერ გავლებულ კვალს მიჰყვებოდა. სასწყლად ეჩვენებოდა. ბავშვის აზროვნება ვერ სწვდებოდა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. მას ამ დღიდან აღეძრა სურვილი ტრაქტორისტი გამხდარიყო. რას იფიქრებდა პატარა ბიჭუნა, რომ არამცთუ ტრაქტორის მართვას ისწავლიდა, არამედ სრულყოფილად დაეუფლებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, კარგი მექანიზატორის სახელს მოიხვეჭდა.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით სოციალისტური სოფლის მეურნეობა მაღალი ტექნიკით აღიჭურვა. ახლა ჩვენ გვყავს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა შესანიშნავი მაღალკვალიფიციური კაღრები, რომელთა სახელები დიდების შარავანდედით არის მოსილი. მათ რიგებს ეკუთვნის სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ივანე ბაიდოშვილი. ივანემ გამოცდილი მექანიზატორის სახელი ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მუშაობისას მოიპოვა. ბრიგადა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, მთელ რესპუბლიკაში ცნობილი გახდა საწარმოო დავალებების გადაჭარბებით შესრულებაში. სამუშაოს ხარისხი ხომ ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ იგი მშობლიურ კოლმეურნეობაში წავიდა სამუშაოდ, თან გაიყოლია თავისი ბრიგადის კუნთმაგარი ბიჭები. კოლმეურნეობაში ძს სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელობა დააკისრეს. ჩვეული მონდომებით შეუდგა მუშაობას. ახლა, როცა ტექნიკის დატვირთვით გამოყენების შესანიშნავი პირობები შეიქმნა, მიწას ორი პატრონი აღარა ჰყავს და ტექნიკაც კოლმეურნეობის გამგებლობაშია, მაღალი მოსავლის ბედი კოლმეურნე მექანიზატორების ხელშია. ისინიც მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო მანქანების დატვირთვით გამოყენებას. ივანე ბაიდოშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ ადრე რაიონში პირველმა ტრაქტორების განუწყვეტელი წლიური რემონტი დანერგა, კოლმეურნეობაშიც იყენებს მუშაობის ამ მეთოდს. რემონტის ეს წესი მინიმუმამდე ამცირებს ტრაქტორების გაცდენას და ზრდის მათს წარმადობას.

იმ სატრაქტორო ბრიგადის წარმატება, რომელსაც ივანე ბაიდოშვილი ხელმძღვანელობს, იმით არის მიღწეული, რომ მექანიზატორები მუშაობაში გაბედულად ნერგავენ ახალს, პროგრესულს. ივანე ბაიდოშვილმა რაიონში პირველმა მოაწყო სიმინდისა და მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივი თესვა და ამ საქმეში დიდი გამოცდილება შეიძინა. გასულ წელს სატრაქტორო ბრიგადამ სიმინდისა და მზესუმზირას 724 ჰექტარი ფართობი კომპლექსური მექანიზაციით დამუშავა ისე, რომ ხელით შრომა არ გამოუყენებია. შედეგიც ბრწყინვალეა: 124 ჰექტარ მზესუმზირას ყოველ ჰექტარზე 15 ცენტნერი სათესლე მარცვალი მიიღეს. თვითეული ცენტნერის თვითღირებულება 28 მანეთს არ აღემატება, მაშინ როცა მზესუმზირას ხელით დამუშავებულ ნაკვეთებში კოლმეურნეობამ ოთხი ცენტნერით ნაკლები მოსავალი მიიღო, ცენტნერის თვითღირებულება კი 59 მანეთს აჭარბებს.

კომპლექსური მექანიზაციით დამუშავებული სიმინდის ფართობის ყოველ ჰექტარზე ხელით დამუშავებულ ნაკვეთებთან შედარებით 3,7 ცენტნერით მეტი მოსავალი მოიყვანეს კოლმეურნე მექანიზატორებმა. წარმოებული ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება 10 მანეთით ნაკლებია ხელით დამუშავებულ ნაკვეთებზე წარმოებულ სიმინდის მოსავალთან შედარებით. ამ კულტურების კომპლექსური მექანიზაციით დამუშავების გზით მიღწეულია თხუთმეტი ათასი შრომადღის ეკონომია. ეს არც თუ ისე მცირეა.

ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული მექანიზატორის გიტალოვის მაგალითისადმი ივანე ბაიდოშვილმაც ბრიგადის



ი. ბაიდოშვილი.

წევრების ა. ყანდაშვილის, გ. ვორობიოვის და ვ. შიტუხინის აქტიური მონაწილეობით კვადრატულ-ბუდობრივ სათესზე საზობი მავთულის მექანიკური გადატანა მოაწყო, რითაც ამ სამუშაოდან გათავისუფლა ექვსი კოლმეურნე, რომლებსაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა სხვა სამუშაოებზე იყენებს.

მარტო ამ სამუშაოთი როდი განისაზღვრება სატრაქტორო ბრიგადის საქმიანობა. მევენახეობა კოლმეურნეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და შემოსავლიანი დარგია. შრომატევადი მთელი რიგი სამუშაოები, როგორიც არის ხვნა, კულტივაცია, ბორდოს ხსნარის შესხურება, გოგირდის შეფრქვევა, მექანიზმებით სრულდება. შარშან აქაც თავი ისახელეს მექანიზატორებმა. ყველა სამუშაო აგროვადებში ჩაატარეს. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის ზრდის დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს.

მექანიზატორებმა მეცხოველეობის ფერმებსაც დაატყეს თავისი ხელი: მეძროხეობის ორი ბრიგადის ბინებში დაამონტაჟეს კიდული გზები, მოიწყეს კომბინირებული საკვების დამამზადებელი უნივერსალური წისქვილი, საკვები ჭარხლის სარეცხი და საჭრელი მანქანები. პროდუქტიული მეცხოველეობის ფერმაში მექანიზაციის დანერგვამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე, შესაბამისად შემცირდა წარმოებული პროდუქტების თვითღირებულება. პირუტყვის გამოზამთრების საქმეში მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს. 4.700 ტონა მწვანე მასა დაასილოსეს, 1.400 ტონა უხეში საკვები დამზადეს და პირუტყვის ბინებთან მიზიდეს.

შარშან სატრაქტორო ბრიგადამ რბილ ჩენაზე გადაყვანით 16.700 ჰექტარი სამუშაო შეასრულა. წარსულთან შედარებით თვითეული ჰექტარის დამუშავების ხარჯები ოთხი მანეთით შემცირდა, ამასთან ბრიგადამ ცამეტი ტონა საწვავი დაზოგა.

სატრაქტორო ბრიგადის კოლექტივი შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით ეგებება სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმს. 1.404 ჰექტარზე დათესეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურები, მზრალად 2.000 ჰექტარი მიწა მოხნეს, რითაც მოამზადეს პირობა შვიდწლედის მესამე წლის სიმინდისა და მზესუმზირას უხვი მოსავლის მისაღებად. კოლმეურნე მექანიზატორებმა გადწყვიტეს წლის ამ კულტურების მთელი ფართობი კომპლექსური მექანიზაციით დაამუშაონ, უფრო ფართოდ დანერგონ მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში და სხვა ძირითად სამუშაოებში.

მექანიზატორები ლ. ჯრელაშვილი, ვ. ნოეიოვი, ი. ბეკაშვილი, ლ. ბაიდოშვილი, ვ. ზაიშელაშვილი, ი. პატრიასოკი, ი. მარკუშინი და სხვები ივანე ბაიდოშვილის ხელმძღვანელობით კვლავაც მოდომებით განაგრძობენ ლაშქრობას ღიდი შვიდწლედის მესამე წლის ზღუდეების დასაპყრობად.

ი. ბეჭაშვილი.

მონოლითური ერთიანობა

რუსთავი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა ქალაქის პარტიული აქტივის კრება, რომელშიც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილის** მოხსენება მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის შედეგებზე.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა თათბირის მონაწილეთა განცხადებას და მიმართვას მსოფლიოს ყველა ხალხებისადმი და აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად განვითარებისათვის.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ყამიერაშვილი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელები რ. ჯიქინაძე და გ. ბერეკაშვილი, აზოტოვანი სასუქების ქარხნის მეაპარატე ნ. შთირიშვილი, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. თითბერიძე და სხვები.

ყველამ ერთსულოვნად მოიწონა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის შედეგები და პატრიოტული სულისკვეთების გრძნობით განაცხადა, რომ განახორციელებენ ყველა ღონისძიებას შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

ჩვენი დღეების ამრეკლი

ადამიანის მადლობა

ბიიმ, აღსარებას ვეურ-მეთქი, ისე გამიჭირდა ბარათის დაწერა. არ მოგწერო კიდევ არ იქნება. დიდი, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ჩემს ცხოვრებაში და როგორ არ უნდა შეგატყობინო.

აბა ყური დამიგდე:

საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომა მიმდინარეობს. ვესტიბიული ხალხით არის სავსე. საკითხების განხილვის მოლოდინში ჯგუფ-ჯგუფად და ცალცალკე სხედან. გამოძახებულები დგანან, ხმადაბლა საუბრობენ, თამბაქოს ეწევიან,— ზოგი ნერვიულობს, ზოგი მშვიდად ამოლეს. ხანგამოშვებით რაღაც დავა წამოიჭრება, ახმაურდებიან, მაგრამ ისევ მიწყნარდებიან. დროდადრო სხდომის ოთახიდან თვალებანთებული, სახეგაბადრული ბრუნდებიან ამხანაგები. ალეწილი და თაეჩაღუნულიც ბევრი გამოდის. გამოდიან და თავქვე ეშვებიან კიბეზე. მათს ნაცვლად ახლა სხვები შედიან.

მე კი ვზიხარ კუთხეში და ერთთავად ვაბოლებ. ვინ იცის, რამდენჯერ ვყოფილვარ აქ, ამ ვესტიბიულში. აქედან ქალაქიც მახსოვს, შეხვრეებიც. მაგრამ მაშინ მარტო თითქმის არასოდეს ვყოფილვარ. ან მთავარი ინჟინერი მახლდა, ან პარტიბიუროს მდივანი, ან ქარხკომის თავმჯდომარე. ზოგჯერ კი ყველა ერთად ვყოფილვართ. ახლა ჯიბეში და ზედიზედ ვეწევი პაპიროსს. ვდელავ? ალბათ. წელან ვიღაცამ მითხრა, მშვიდად გამოიყურები. რა ვუყოთ, კაცია და ხასიათი. აქ, ამ შენობაში, ყოველთვის ვდელავ. ვიცი, რომ უბრალო საქმეზე არ დამბარებენ. მაგრამ ღელვაც არის და ღელვაც. დღევანდელი ჩემი განწყობილება ძლიერ განსხვავდება ადრინდელისაგან, რაღაც გაურკვეველ გრძნობას შევუპყრივარ. მიხარია? მწყინს? სიმართლე გითხრა, პასუხი მიჭირს.

ისევ პაპიროსისათვის ჯიბისაკენ წავიღე ხელი. ცივი რაღაც მომხვდა. პატარა სარკე იყო. მართალია, შიგ იშვიათად ვიხედები. აკი შენც მეუბნებოდი ხოლმე, ნეტავ რას დაათრევო, მაგრამ მაინც ვერ ველევი. უცნაური სურვილი მომივიდა. მოდი, ერთი ჩავიხედავ-მეთქი. თან აქეთ-იქით შევავლე თვალი. ხომ არავინ მიყურებდა. სარკე ფაართო ხელის გულში ჩავმალე და ქურდულად შევათვალიერე სახე. არც ისე მოხუცებული მეჩვენა თავი, მე რომ მკითხო, როგორიც ვიყავი, ისევ ისეთი ვარ.

ვზიხარ და ათასი აზრი მიტრიალებს თავში: ნუთუ ამით მთავრდება ჩემი შფოთითა და მღელვარებით, შინაარსითა და სიცოცხლით აღსავსე ყოველდღიური ცხოვრება? ნუთუ ხვალ დილით ალარ გავუყვები ქარხნისაკენ გზას, ნუთუ ყურს ვეღარ მოვკრავ საგლეხავი დაგნის ნაცნობ ხმას, 14 წლის მანძილზე ასე რომ შეეჩვია ჩემი სმენა. ადრე რამდენჯერ მითქვამს, როდის იქნება ერთი მოვისვენო.-მეთქი, ახლა კი გული მეკუმშება სიმწრისაგან, რომ გავიფიქრებ, პენსიაზე უნდა გავიდე.

გაუსვებენ, პატივს გცემენ, — ვეუბნები ჩემს თავს, — მეტი რა გინდა, აქ გამოგიძახეს. პენსიაზე სხვებიც გადავიდნენ, მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტში როდი იწვევენ.

ვინ იცის, რას არ ვფიქრობ.

უცებ, თითქოს ვიღაცამ მიბრძანაო, მე თვითონ ვუთხარი ჩემს თავს:

— აბა, მოხუცო, ერთი აბრძანდი, დადექი და ჩაადარე ანგარიში ხალხს, მოახსენე, ვინა ხარ და რა გაკეთე მას შემდეგ, რაც დედამ გშობა? — და მეც წარმოვიდგინე, როგორ წამოვდექი ძმიედ, ჩავაბეღელე, რომ უფრო მეტი გამბედობა მიმეცა თავისთვის, დინჯად მიმოვავლე თვალი იქ მსხდომთ და დავიწყე:

— აქაური ვარ, თბილისელი, კუკიაზე დავიბადე. მამა იმერეთიდან მყავდა, ღორეშიდან, სერგო ორჯონიკიძის მშობლიური სოფლიდან. ქალაქში მზარეულად მუშაობდა. დედა რუსი იყო, სიმბირსკის გუბერნიიდან. ყმა ქალი კავკასიაში გადმოსახლებულ ცხობილ დეკაბრისტ ბესტუჟევ-მარლინსკის წამოეყვანა თბილისში ხელზე მოსამსახურედ. აქ შეირთო მამაჩემმა.

...სწავლა დავიწყე, მაგრამ მამა მომიკვდა და ვეღარ დავამთავრე. ცხრაას თვრამეტში მენშევიკური არმიაში გამიწვიეს მობილიზაციით, სატელეგრაფო ასეულის ჯარისკაცად. ჯარში კომუნისტების თანამგრძნობთა პატარა ჯგუფი იყო, იმან გამაგებინა, თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე, რუსეთში. ის მაცნობდა ბოლშევიკების პროგრამას (მომაგონდა ჩვენს ნაწილში და იუნკერთა სკოლაში როგორ მზადდებოდა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა, უიარაღოდ ფარულად შემოსულმა ფილიპე მახარაძემ როგორ დაიწყო თავისი სიტყვა, როგორ ვერრგულად გასცა ვიღაცამ, როგორ გააპარეს ორატორი. მომაგონდა, მაგრამ არაფერი მითქვამს, გრძელი ისტორიაა-მეთქი).

ჯარიდან გორში გავიქეცი, ვდეზერტირობდი, ამილახვრის წისქვილში დღისით ვიმალებოდი და ღამდამობით ვმუშაობდი. მერე, როცა თბილისის თავზე ალსფერი ღროშა აფრიალდა, ქალაქში დაბრუნდი და ჩითელ არმიაში მოხალისედ წავედი. ცხრაას ოცდაერთი წლის აგვისტოში კომუნისტურ პარტიაში შევედი, ათასეულის სამხედრო კომისრად დამნიშნეს. წინათ თუ ჩემი ამხანაგები მასწავლიდნენ, ახლა თვითონ ვაცნობდი სხვებს ახალ ამბებს, ახალი მთავრობის პოლიტიკას. ძალიან კი გვიჭირდა მუშაობა. დღეიდან ამეკიდინეობდი. სიფიზიზლე გვმართებდა, ათასეულის მეთაურებად თითქმის მთლიანად ძველი. მენშევიკური არმიის ოფიცრები იყვნენ. შინ წასვლას ვერც კი ვახერხებდით, ნაწილში გვიღამდებოდა და გვითენდებოდა.

ძნიშე ზამთარი იყო ოცდაორი წლის დეკემბერში, თოვლმა მოსწყვიტა სვანეთი გარესამყაროს. მთებს თეთრი ნაბადი მოესხა. ბარდნიდა, თოვლი უზანგებამდე სწყდებოდა მგზავრებს. ცხენები მკერდით მიაპობდნენ ნამქერს, როგორც მდინარეში ტალღებს. სადაც პირუტყვი ვერ გადოიდა, ქვეითად მივიკლავდით გზას, რამდენჯერ გავიარეთ „ბეწვის ხიდივით" ვიწრო ბილიკებზე, ვიცავდით წონასწორობას სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე, მაგრამ მაინც

და ის. შემდეგ თმის ბეწვიც აღარავის შეურხევია ჩვენთვის. გვიან გავიგეთ, რომ ის ბარათი მეფის რუსეთის ყოფილ ბოქაულს გაბლიანსა და ბანდიტ „ბიძინა პირველს" შეეთითხნათ.

— სვანეთის შემდეგ ახალციხეში ვიყავი, — განვაგრძე ლაპარაკი, — თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე. დამნიშნეს სასაზღვრო უბნის კომენდანტად. აქ შემეძინა ჩემი პირველი სიხარული, ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი — ვალი. ეს იყო 1924 წლის ოთხ იანვარს...

იმ წლის ზაფხულში კომენდატურაში დაშფრული დეკაბრ მივიდე. გვაკუობინებდნენ: საქართველოს ზოგიერთ რაიონში მენშევიკმა ავანტიურისტებმა ადგილობრივი საბჭოების წინააღმდეგ გამოსვლები მოაწყესო. ცენტრიდან წინადადებას გვაძლევდნენ ჩაგვეკეტა ზღუდეები, რომ ხალხის ბანდა თურქეთში არ გაპარულიყვნენ. ისე შევკარით საზღვარი, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა.

თვალი რომ გადავავლე ჩემს ცხოვრებას, შევკრთი. ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები მქონდა მოთხრობილი. კიდევ რამდენი რამ უნდა მეთქვა! ასე თუ განვაგრძე, ვერ მოვალწევ დღეანდლამდე-მეთქი, მივხვდი, რომ დაწვრილებით ჩამოთვლა შორს წამიყვანდა და გადავწყვიტე ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი ორიოდე სიტყვით მეთქვა.

ერთხანს ისიც ვიფიქრე, პარტიული მუშაობისათვის გვერდი ამევლო, პირდაპირ სამეურნეო საქმიანობაზე გადავსულიყავ, რადგანაც შრომითი ცხოვრების თითქმის ოთხი ათეული წლიდან ხამი ათეული მას შევწირე, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, ხუთი წელიწადი არც ისე პატარა დროა — 1925-დან 1930 წლამდე ხელმძღვანელი პარტიული თანამდებობები მეკავა.

ნერწყვი გამიშრა. წყალი მოვსვი, პირი გავისველე და ისევ განვაგრძე:

— ორ წელიწადს პარტიუჯრედის მდივნად ვმუშაობდი თამბაქოს მეორე ფაბრიკაში. მაშინ ეს ქალაქის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო საწარმოდ ითვლებოდა. სად იყო მძიმე ინდუსტრიის ქარხნები! მათ ჩამოსათვლელად თითებიც ეყოფოდა ადამიანს. აქედან მოსკოვში გამგზავნეს, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამაზრო მუშაკთა კურსებზე. დავბრუნდი და პარტიის ბორჯომის რაიკომის აგიტპროპად დამნიშნეს.

არ მახსოვს, რომ ვინმეს მოეკრა ყური ჩემი გვარისათვის — ორჯონიკიძისათვის და მაშინვე არ ეკითხა, სერგოსი რა ხარო. შორეული ნათესავი, ერთი შტოდან ვართ წარმოშობილი-მეთქი. თვითონ სერგოს მხოლოდ ერთხელ შევხვდი. მაშინ ის ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის მდივანი იყო. მოსკოვში წასვლის წინ მანგალისში ვსწავლობდი კურსებზე, იქ ჩამოვიდა. ეთქვათ, თქვენი მოგვარე კურსანტი გვყავსო. დამიბარა, მკითხა, ვისი ბიჭი ხარო? — გალაქტიონისა-მეთქი. ვიცნობ მამაშენს, თქვენები ხშირად ყოფილან ჩვენსაო.

მახსოვს, დედაჩემიც მეუბნებოდა, მრავალჯერ ვუთვლიათო კოსტანტინეს ოჯახს სტუმრადო. ერთხელ რომ მივედით, სერგომ (მაშინ თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი იქნებოდა) თოხს ხელი დახტაცა, მარანში გაიქცა, ქვევრს თავი ვადაშვლიპა და დიდი კაციური ჭურის თავზე მიგვიპატიჟა. (ეს ხომ ბეჭრჯერ მოამბნია შენთვის, შვილო, მაინც მეუბნებოდი, მითხარი და მითხარი კიდევ რამე ძია სერგოზეო. საათობით რომ მელაპარაკა მასზე, არ მოგწყინდებოდა).

გამომშვიდობებისას სერგო ორჯონიკიძემ მითხრა: ხირცხელი არ მაგამო ყოჩაღად ისწავლეო. ალვუთქვი და ავუსრულე კიდეც, არასოდეს შემრცხვენია ორჯონიკიძის გვარი. სერგოს რომ გავიხსენებ, თვალწინ მიდგება მისი სახე — ანთებული თვალები, არწივისებური კეხიანი ცხვირი და გადაგრეხილი ულვაშები. გულში რაღაც სითბოს ვგრძნობ მის ხსენებაზე.

— რეკონსტრუქციის პერიოდში ტექნიკა წყვეტს ყველაფერს!

— მაგრამ ტექნიკა მეკედარია, თუ არ გვეყოლება ადამიანები, რომლებიც დაეუფლებიან მას!

განუწყვეტლივ ჩამესმოდა ყურში პარტიის ეს ლოზუნგები. ათასობითა და ასეულათასობით მუშა და გლეხი, მათი შვილები მიდიოდნენ სასწავლებლებში, მოწყურებულებივით ხარბად ეწაფებოდნენ ცოდნას.

ცოტა ხანს თამბაქოს ტრესტის მმართველის მოადგილედ ვმუშაობდი. შემდეგ მმართველად დამაწინაურეს. ხუმრობა ხომ არ იყო, ტრესტს თბილისში თამბაქოს სამი (ყოფილი ბოზარჯიანცის, ენფიჯიანცისა და ხეილანოვის) და ერთიც საკარტნაეო — კოლოფების დასამზადებელი ფაბრიკა ჰქონდა. საწარმოებში ათასნაირი მექანიზმი მუშაობდა. ეს ხომ ტექნიკაა, ტექნოლოგიასაც ცოდნა უნდა. მე კი, მართალია, დამაწინაურეს, მაგრამ ვგრძნობდი, დიდხანს არ გამყვებოდა საგზალი. მარტო ახალგაზრდული ცეცხლი და მონდომება არ კმაროდა.

ვიფიქრე, ვიფიქრე და დავასკვენი: თუ ტექნიკური განათლება არ მივიღე, შორს ვერ წავალ-მეთქი. დავწერე განცხადება და ცენტრალურ კომიტეტში წავედი. კაცი ტრესტის მმართველი ხარ, რაღა სწავლა გინდაო, — მეუბნებოდა ზოგი, მაგრამ არ ვქენი. ბაქოში გამგზავნეს, კიროვის სახელობის ნავთობის მრეწველობის აკადემიაში, ნავთობის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

34-35 წლის კაცი ვიყავი, ცოლშვილიანი, არც ისე ადვილი იყო ჩემთვის სწავლა, მაგრამ ვეძალებოდი. სამ წელიწადს თავაუღებლივ ვმეცადინეობდი, სადიპლომო შრომა „ფრიადზე" დავიცავი და წამოვედი.

თბილისის კიროვის სახელობის ქარხანა ღრმაღელეში მაშინ ორი თუ სამი წლის დაარსებული იყო, ნავთობსაბურღი მანქანების ქარხანას ეძახდნენ. ჩამოვედი თუ არა, ჯერ ტექნიკური კონტროლის უფროსად დამნიშნეს, შემდეგ დირექტორად. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები აქ გავაატარე. აგერ უკვე თოთხმეტი წელიწადია სპილენძსაგლინავ ქარხანაში ვარ დირექტორად.

არ ვიცი, შენ მოეწყარი თუ არა თბილისის ძველ „რიყეს", იქ ერთ რიგზე მექვიბეები იყვნენ ჩამწკრივებული. ენამრავალ, მოხმაურე ბაზრის ყრიამულს კვერის გაბმული კაკუნი ახშობდა, მორთბეული ხელოსნები ისხდნენ და მონტონურად უკაკუნებდნენ კვერს სპილენძს (ნეტავ, შემორჩა კიდევ ვინმე ოთბგანი?)

თანგირა ქვაბები, ყელწეარწეტა თუნგები, მურაბის ტაშტები, პირდაბჩენილი ტოლჩები, გულგაწელილი ტაფები, ფლავისა და ხაშლამის ქაფქირები იყო ჩარიგებული ფარფალალა სახელოსნოში. მოუკალავ ჭურჭელს უზალთუნების ქარადან ერტყა ირგვლივ კვერის ნაკვალევი. ეს იყო ძირითადი ნაწარმი, რასაც აკეთებდნენ თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის პროდუქციიდან.

ფერადი მეტალურგიის პირველი საწარმო იყო ის მთელ ამერკავკასიაში. აქედან გადიოდა მზა სპილენძი სომხეთსა და აზერბაიჯანში. რამდენიმე წლის წინათ ნახევარი საუკუნის იუბილე გადავუხადეთ ჩვენს ქარხანას. თავისი დროისათვის დიდი საწარმო იყო, თორემ ახლა ჩვენი ჩარხსამშენებლო ან მანქანათმშენებელი ქარხნების ყველაზე პატარა საამქროსაც კი ვერ გაუტოლდება.

ამას წინათ ერთი ჩვენი ძველი მექანიკოსი მელქო რობაქიძე მოვინახულე ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოში. იშვიათი ადამიანი და ბრწყინვალე ოსტატი. რა გინდა, რომ იმას არ გამოუვიდეს ხელიდან, ზეინკლობაც იცის, ელექტროსაქმეც. სკოლაში არ ყოფილა, უსწავლელი კაცია, მაგრამ ძველი წრთობის მუშაა, მეტად პატიოსანი, კითხვა ისე უყვარს, წიგნისთვის კვდება. 25 წელიწადი ამ ქარხანაში გაატარა. ახლა პენსიაზეა, დიდი გაცილება მოვუწყეთ.

აი ის მელქო მეუბნებოდა: გახსოვს, ნიკო, რას ბგავდა ჩვენი ქარხანა? ადამიანდროინდელი ორთქლის მანქანა რომ გვედგა და მუშები ხელით ეჭაგურებოდნენ გახურებულ ლითონს? რატომდაც ასე მგონია, სწორედ ეს არის ის პირველი მანქანა, ოდესღაც ჩემს უატს რომ დაუმზადებიაო. — იცინოდა მელქო, — თქვენ რომ არ მოსულიყავით, ვინ იცის, ქარხანა როდის გადავიდოდა ელექტროდენით მუშაობაზეო.

მელქო, რა თქმა უნდა, აჭარბებდა, მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაც ცოტა რამ როდი გაკეთდა ქარხანაში სიახლის დასანერგავად.

ადრე თურმე ფუთობით ითვლიდნენ სპილენძს, ახლა ათასობით ტონას ვამზადებთ, სად არ შიდის — მოსკოვსა და ლენინგრადში, სვერდლოვსკსა და კიევში, ახლომახლო ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ. ელექტროტექნიკური მრეწველობა უსაზღვროდ მეწარმოეფდენელია. ერთ წელიწადში 22 ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა ამუშავდა საქართველოში. იანგარიშე, რამდენი სპილენძი დასჭირდებათ, იფიქრე რამხელა სამუშაო აქვთ შვიდწლედში ჩვენს სპილენძმგლინავებს. მე კი სწორედ ახლა მივდივარ პენსიაზე. ეჰ, რას იზამ!

ეძმსი თვის წინათ რედუქტორს ნაწილი გაუფუჭდა. კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორს ნიკოლოზ კიზივაძეს დავურეკე, სხვაგან ვერ გამოჩარხავდნენ. — სიამოვნებით, თქვენ უარს როგორ ვეტყვითო. — გამეხარდა. ჩემს დროს ბევრმა ახალგაზრდა ინჟინერმა აიდგა ფეხი ქარხანაში, საქართველოს ინდუსტრიული (ახლა პოლიტექნიკური) ინსტიტუტი ჰქონდათ დამთავრებული. კიზივაძეც იმდროინდელია. ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში მიმღებად მუშაობდა, მერე ამერიკაში გაგზავნეს, დეტროიტში, იქ ეცნობოდა ტექნიკის მიღწევებს. შემდეგ მთავარ ინჟინრად იყო ქარხანა „დაზგაში", ახლა კი აგერ რამდენიმე წელიწადია აქ დირექტორად არის.



სურათზე: სამგორის მეფრინველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის მეფრინველეობის ფერმის ეზოში.

ფოტო გ. კიკვაძისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

პირნათელი ვიქნებით

კიდევ რამდენიმე დღე, და მუშაობას დაიწყებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი, რომელიც განიხილავს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ჩვენი არტელის წევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეებმა პირნათლად შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან პლენუმს.

ლიმნნების მთლიანი ნათესის თვითეული ჰექტარზე მიღებულ იქნა 25 ცენტნერი მარცვალი, კოლმეურნეებმა თვითეულ შრომადღეზე 11 კილოგრამი სიმინდი მიიღეს. შესამჩნევად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ერთ საფუარაქე ძროხაზე საშუალოდ 2,100 ლიტრ რძე მივიღეთ, წლიური გეგმა კი 1.900 ლიტრს ითვალისწინებდა. 1959 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა 200 ლიტრით გაიზარდა.

მეგობლობაშიც კარგი მაჩვენებლები გვაქვს. დათესილი იყო 15 ჰექტარი კომბოსტო. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 110 ცენტნერი კომბოსტო. მარტო ამ დარგიდან 195 ათასი მანეთი შემოსავალი მივიღეთ. კოლმეურნეობის საერთო ფულადმა შემოსავალმა 100 ათასი მანეთით გადააჭარბა 1959 წლის შემოსავალს. წინასწარი ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეები გამომუშავებულ შრომადღეზე 23 მანეთამდე მიიღებენ.

თავიანთი მუყაითი შრომით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ კოლმეურნეები შ. ჯოჯუა, ვ. ჩორგოლეიშვილი და სხვები.

კოლმეურნეები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ საკოლმეურნეო წარმოების ყველა რეზერვი გამოიყენონ 1961 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის.

„კომუნისტის" საგუშაგო:

თ. თასგაძე — სამტრედიის რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ა. ბანდაკა** — პარტბიუროს მდივანი; **ვ. ვაშაკიძე** — ბრიგადირი; **ი. შუბლაძე** — კოლმეურნე.

კომუნისტი

ფე-2 გვერდი, ხუთშაბათი.

5 იანვარი, 1961 წ.

ნარკვევი

მივიწევდით წინ. პარტიამ გაგვგზავნა და უკან როგორ დავიხევდით! მივდიოდით და მიგვქონდა ჯარისკაცის „გუდანაბადი" — ტყვიაწამალი და საგზალი.

ქვემო სვანეთიდან ფეხით გადავედით. ჯერ შუგულში, შემდეგ მესტიაში ავედით. სვანეთში მილიციას ვაყალიბებდით. ჩემი ჯარისკაცებით მოულანში გამანაწილეს, იქ დავიდეთ ბინა. საბჭოთა ხელისუფლება ის-ის იყო იწყებდა განმტკიცებას სვანეთში. ჯერ კიდევ მაგრად იყო ფეხვავდგმული ხალხში ძველი ადათ-ჩვეულება. ჩვენ სამილიციო სამსახურთან ერთად ხშირად შეეკრებოდით ხოლმე მოსახლეობას და განვუმარტავდით, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება, რა მოაქვს მას მშრომელებისათვის. ხარბად გვისმენდნენ სვანები. ბევრი თანაგვიგრძნობდა, „იქნებ ახლა მაინც ეშველოს მშრომელ კაცსო",— გაიძახოდნენ.

ბევრმაც წამოაყენეს თავი, გვექადნებოდნენ, გაწელილ ადგილზე, სკოლის შენობაში ვიყავით დაბანაკებული. ორიოდე თვის შემდეგ უსაზღვრო წერილი მივიღეთ, გვეშუქრებოდნენ, ან სვანეთი დატოვეთ, ან თავებიო. მივხვდით, რომ ბარათს იქით სვანი ხალხი კი არა, ვიღაც ნაძირალები იდგნენ. ჩემი მოადგილე დადვანი შეფიქრიანდა და შემომთავაზა: სკოლიდან ციხე-კოშკში გადავიდეთ, იქ ვერაფერს დაგვაკლებენო.

ნურას უკაცრ

პირა აწუხებთ ბინათმშენებლებს

დაიწყო შვიდწლედის მესამე—1961 წელი და უკვე ახალი ძალით ჩაღდება შრომითი ლაშქრობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის საბინაო მშენებლობაშიც ახალი მიღწევების მოსაპოვებლად. ამასთან დაკავშირებით საქმისათვის სასარგებლოდ მიმაჩნია, თუ სათანადო მგეგმავი ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ჩვენში ბინათმშენებლობის შემაფერხებელ, ჩემი შეხედულებით, ორ ადვილად მოსაგვარებელ, თუმცა ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამშენებლო წარმოების ინდუსტრიული ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას მშენებლობის ვადების შემცირებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამუშავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

უკანასკნელ წლებში თბილისში ჩვენ მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დიდი განვითარების მოწმენი ვართ. მარტო ტრესტ „თბილმშენინდუსტრიის“ საერთო პროდუქცია 1957 წლის დონესთან შედარებით გაიზარდა 2,6-ჯერ, რკინაბეტონის ნაწარმის გამოშვება — 3,4-ჯერ, ხოლო სადურგლო ნაწარმის გამოშვება — 6-ჯერ და მეტად.

ამენებული და გამართულია სახლთმშენებლობის კომბინატი, რომელიც ამ დღეებში უნდა ამუშავდეს და ყოველწლიურად გამოუშვას 35 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შემცველი სრულასაწყობი სახლები. ამასთან გაფართოებულია რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების ქარხნები, მოწყობილია ახალი პოლიგონები საკედლე ბლოკების გამოსაშვებად. გაფართოებული და მოწყობილობით შეესებულია ხის დასამუშავებელი საწარმოები და ა. შ.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მშენებლობის დაჩქარებას, აამაღლა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე და საშუალება მოგვცა მკვეთრად გაგვედიდებინა თბილისში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა.

მაგრამ გარკვევით უნდა ვაღიაროთ, რომ თბილისის მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჯერ ისევ დიდად ჩამორჩება მშენებლობის მასშტაბს. ეს ქმნის იმის საფრთხეს, რომ შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებაში ხელი შეგვშლება, თუ ამთავითვე არ მივიღეთ ქმედითი ღონისძიებანი.

პირველი, ჯერ გადაუჭრელი და მოუწესრიგებელი საკითხია ხარისხოვანი ქვიშის მომარაგება.

თბილისში არა გვაქვს გამდიდრებული ქვიშა. იგი შემთხვევიდან შემთხვევამდე შემოგვაქვს შორი ადგილებიდან — ან ახერბაიჯანიდან (მინგეჩაურის ქვიშა), ან შავი ზღვის სანაპიროდან რკინიგზით. თბილისში ჯერაც არ არის მოწყობილი ე. წ. დაფრაქციებული ღორღის გამომშვები საწარმო.

ვინ არ იცის, რომ თუ არა გვაქვს გამდიდრებული ხარისხოვანი ქვიშა, არ მოგვეპოვება დაფრაქციებული ღორღი, შეუძლებელია მაღალი მარკის ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების გამოშვება. ამის შესახებ ბევრჯერ აღძრულა საკითხი, ბევრჯერ აღუნიშნავთ ეს გარემოება მშენებლებსაც და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებსაც, მაგრამ უშედეგოდ. წლები წლებს მისდევს, სამშენებლო ინდუსტრია ფართოვდება, არამადნეულ საშენ მასალათა მომარაგების საკითხი კი გადაუჭრელი რჩება. არ არის გადაჭრილი აგრეთვე ე. წ. შემავსებლებისა და დიდპანელიანი საცხოვრებელი სახლების გარე დამცავი კონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგიის საკითხი. ეს მაშინ, როდესაც სახლთმშენებლობის კომბინატი უკვე იწყებს მუშაობას. იგი უნდა შეუდგეს ამ კონსტრუქციების ჩამოსხმას სასტენდო კასეტურ ფორმებში.

მეორე გარემოება, რომლის მოუწესრიგებლობაც დიდად შეგვაფერხებს 1961 წლის საბინაო მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებაში, ეს არის გარდამავალი ობიექტების დაუგეგმავობა.

1960 წლის 23 ივნისს გამოვიდა „ნორმები და მითითებები საბინაო მშენებლობაში გარდამავალ სამუშაოთა განსაზღვრის შესახებ“, რითაც უნდა იხელმძღვანელონ სამშენებელო ორგანიზაციებმა და საგეგმო ორგანოებმა. ეს „ნორმები და მითითებები“ წარმოადგენს საფინანსო-მატერიალურ და უფლებრივ ბაზას იმისათვის, რომ დავგეგმოთ ბინათმშენებლობაში ერთი წლიდან მომდევნო წელიწადში გარდამავალი ობიექტების მშენებლობა.

სამწუხაროდ, 1961 წლისათვის „მთავართბილმშენის“ მიერ საბინაო მშენებლობის დაგეგმვისას ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება იგნორირებულია, 1961 წლიდან 1962 წელს გარდამავალი ბინათმშენებლობა გათვალისწინებული არ არის.

ცნობილია, რომ საბინაო მშენებლობის სწორი დაგეგმვისას მშენებლებმა გარდამავალ ობიექტებზე სამუშაოდ უნდა მიიღონ როგორც დაფინანსება, ისე მატერიალური რესურსები შემდგომი წლისათვის გათვალისწინებულ სამუშაოთა მთელი მოცულობის 30 პროცენტის ფარგლებში. ჩვენში ეს წესი უგულებელყოფილია და სწორედ ამის გამო 1960 წელს ჩვენი სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები, აღჭურვილნი საუკეთესო მექანიზმებით, თვენახევარს გაცდნენ. ეს გაცდენა გამოწვეული იყო იმით, რომ გარდამავალი ობიექტებისათვის სამშენებლო დეტალების დასამზადებლად მათ არ მისცეს ცემენტი, ლითონი და ხე-ტყის მასალები, რის გამო არსებული საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა ვერ მოხერხდა.

გარდამავალი ობიექტების დაუგეგმავობის გამო საცხოვრებელი ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემა ითელი რიგი წლების განმავლობაში არარიტმულად ხორციელდება. წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალში საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა მცირე რაოდენობით, არათანაბრად ხდება, ხოლო მეოთხე კვარტალში ჩვეულებრივად ცდილობენ ყველა სახლი ერთბაშად გადასცენ საექსპლოატაციოდ, წლის დავალება როგორმე შესასრულონ. ეს იწვევს ზედმეტ ხარჯებს, სამუშაოთა შესრულების ხარისხის გაუარესებას.

წლის მიწურულში, მეოთხე კვარტალში წლიური გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მშენებლები იძულებული ხდებიან ნოემბერ-დეკემბერში შეუდგნენ ყველაზე შრომატევადი იმ სამუშაოების შესრულებას, რომლებიც შენობათა მოპირკეთების სველ პროცესებთან არის დაკავშირებული. იწყება „იერიში“, ირღვევა კედლების შელესვისა და შეღებვის, პარკეტის დაგების და მთელ რიგ სხვა მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ტექნოლოგია. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ზამთრის ვითარებაში ძნელია მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხოვნად შესრულება არახელსაყრელი ამინდის გამო.

იერიშობანის თავიდან აცილებისათვის, მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხოვნად შესრულებისათვის, მშენებლებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა გამაშეზომილი მუშაობისათვის საჭიროა დაიგეგმოს გარდამავალი საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობა შემდგომი წლის გეგმის 30 პროცენტის მოცულობით. მშენებლობის წარმატებისათვის საჭიროა გარდამავალი ობიექტების დაგეგმვა მზადყოფნის სხვადასხვა დონის მიხედვით, რათა შესაძლებელი იქნეს ამ ობიექტების მშენებლობაზე. ნაკადური მეთოდების გამოყენება, სამშენებლო სამმართველოთა სპეციალიზაციის განვითარება და მშენებელთა თანაბარი დატვირთვა წლის ყველა პერიოდში.

ბინათმშენებლობაში გარდამავალი ობიექტების დაგეგმვის განხორციელებას კიდევ ის შესანიშნავი შედეგი მოჰყვება, რომ სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოო კოლექტივებს საშუალება მიეცემათ წინასწარ მიიღონ სათანადო ნედლი საშენი მასალები, მოამზადონ კონსტრუქციები, ეს ნედლი საშენი მასალები გადამუშაონ და მზა სამშენებლო დეტალები დროულად მიაწოდონ სამშენებლო მოედნებზე მომუშავეებს.

თუ ეს ორი საკითხი არ მოწესრიგდა, თუ ამთავითვე დადებითად არ გადაიჭრა თბილისის განაშენიანებისათვის საჭირო ხარისხოვანი ქვიშის მომარაგების საქმე, აგრეთვე საბინაო მშენებლობის გარდამავალი ობიექტების დაგეგმვის საკითხი, ვფიქრობ, შვიდწლედის ამ მესამე წლის ბოლოსათვის ჩვენ თბილისელი ბინათმშენებლები და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები საგრძნობი შეფერხებების წინაშე აღმოვჩნდებით. ამას კი არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

რ. ნინიძე,
ტრესტ „თბილმშენინდუსტრიის“ მმართველი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ოგელისკი ასე არ აშენდება“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო ობელისკის მშენებლობა, ახმეტაში, ბახტრიონის გორაზე.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდან გვაცნობეს: გაზეთის კრიტიკა სამართლიანია. ობელისკის მშენებლობისათვის საჭირო რაოდენობით გამოყოფილია საშენი მასალები და ასიგნობანი, ახმეტის რაიასბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება გაფრთხილებულია, რომ უზრუნველყოს ბახტრიონის გორაზე ობელისკის მშენებლობის დროულად დამთავრება.



სიღნაღის რაიონის დაბა წნორის საშუალო სკოლის მანქანათმცოდნეობის კეთილმოწყობილ სახელოსნოში მოსწავლეები შრომის მრავალ პრაქტიკულ ჩვევას იძენენ.

სურათზე: მეათეკლასელები (მარჯვნიდან) ლიანა აბულაშვილი, ლეილა ყარალაშვილი და ბაბულია ტუხაშვილი სახელოსნოში გუთნის მოდელზე მუშაობენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკოლა და ცხოვრება

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების კანონის გამოცემის შემდეგ მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. სკოლა დაუახლოვდა ცხოვრებას, წარმოებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, მასწავლებლებმა გააძლიერეს ზრუნვა იმისათვის, რომ აღზარდონ ახალი ადამიანები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ ან სასარგებლო შრომაში.

არ შეიძლება სიხარულით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ სავსებით შეიცვალა მოსწავლეების დამოკიდებულება ფიზიკური შრომისადმი. ახლა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული რამდენიმე ასეული ახალგაზრდა თავდადებით მუშაობს ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ ისტორიული კანონის გამოცემის შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა იმასაც, რომ მოსწავლეებმა ზოგად განათლებასთან ერთად მიიღონ პროფესიული მომზადება. ახლა ჩვენი ახალგაზრდები მონდომებით მუშაობენ მოსწავლეთა ბრიგადებში, სასწავლო-საცდელ მინდვრებზე, სახელოსნოებში, კოლმეურნეობებსა და ფაბრიკა-ქარხნებში, ისინი დღითიდღე ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას და საერთოდ მიზანშეწონილად ემზადებიან ცხოვრებისათვის, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

სკოლის მუშაობის გარდაქმნა იმასაც მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ მოსწავლეთა საეთო მომზადებას, ვინაიდან ზოგადსაგანმანათლებლო საგნების დაუფლება, შრომითი ჩვევების გამომუშავება და თვითმმართველობა მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ მოსწავლეთა შრომითს აღზრდაზე, მაგრამ, რაც მთავარია, ზოგჯერ გვავიწყდება ის, რომ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი შეიძლება დავნერგოთ არა ცალკეული ღონისძიებით, არამედ მოსწავლეთა ცხოვრების შესწავლით და, საერთოდ, სწავლა-აღზრდის მთელი ორგანიზაციით, შრომა პირადი შეძოქმედებითი ინიციატივის შედეგია, ამიტომ პირველ რიგში საჭიროა მოსწავლეებს შრომა შეეყვაროთ.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები ბუნებრივია, მაღალხარისხოვნად ძუძაობას უნდა ცდილობდნენ. ამიტომ საჭიროა ეებრძოლოთ სიხარამაცეს და საქმიანობი ფორმალურ დამოკიდებულებას, ეს უდავოდ ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩვევების განმტკიცებას და საერთოდ, ძათში გააძლიერებს მოვალეობის შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. ამასთან მოზარდები ეფიუყვარებენ შრომას, და რაც აუცილებელია, უშუალო მონაწილეობას მიიღებენ მატერიალურ ღირებულებათა შექმნაში. ეს სრულიადაც არ ნიშნავს ფიზიკური მუშაობით გადატვირთვას ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების საზიანოდ, საბჭოთა სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ამეამად ის არის, რომ სწორად დავაყენოთ მოსწავლეთა შრომა, ანუ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა ზოგადსაგანმათლებლო, პოლიტექნიკურ და შრომითს მომზადებას, რაც ჩვენი ახალი თაობის მორალურ თვისებათა ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა.

ჩვენმა სკოლებმა ახლებურად მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინეს, ახლა ბევრია ისეთი პედაგოგიური კოლექტივი, სადაც შრომა და სწავლება ურთიერთშორის მჭიდრო კავშირში იმყოფებიან, სადაც მოსწავლეებმა შეიყვაროეს შრომა და მუშაობის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ.

ზოგიერთ სკოლაში ფიქრობენ, რომ ბავშვებმა რაც შეიძლება მეტი უნდა იმუშაონ და მეტი პროდუქცია შექმნან. ეს, ცხადია, არ არის პედაგოგიური მიდგომა შრომითი აღზრდის საკითხისადმი. სკოლის ასეთ ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს ვერ გაუგიათ საქმის ვითარება და არა აქვთ სწორი წარმოდგენა შრომითი აღზრდის საკითხებზე.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის შესახებ მუდამ უნდა გვახსოვდეს ნ. ს. ხრუშჩოვის ნათელი სახელმძღვანელო მითითება:

„ახლა შრომა სხვადასხვა ფორმით მტკიცედ იკიდებს ფეხს სკოლის ცხოვრებაში. ჩვენ ყველას გვახარებს მოსწავლეთა მუშაობა ძრავალ სასწავლო-საწარმოო ბრიგადაში, სასწავლო მეურნეობაში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კარგია რომ მოსწავლეები ამზადებენ საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქციას.

მაგრამ მოსწავლეთა შრომა დიდმნიშვნელოვანია არა თავისთავად, არა მარტო და არა იმდენად თავისი პროდუქციით. ყველაზე მთავარია ის, რომ სწორად და ყოველმხრივ გამოვიყენოთ საწარმოო მეცადინეობა იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ საერთო სარგებლობისათვის შრომის სიყვარული.

სკოლამ მოსწავლეებს უნდა ჩაუნერგოს კოლექტიური მუშაობის უნარი, ესე იგი საბოლოო ანგარიშით კომუნისტურად ცხოვრებისა და მუშაობის უნარი“.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდისათვის საჭიროა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მომზადება. ეს კი მოითხოვს, რომ მოსწავლეებმა გაიგონ შრომის შემოქმედებითი ძალა, ის, თუ რა როლს ასრულებს შრომა საზოგადოების განვითარების საქმეში, მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა შექმნაში, რომლებითაც სარგებლობდნენ და ახლაც სარგებლობენ ადამიანები.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის აუცილებელია მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცედ დაუფლება, აგრეთვე სპეციალური პროფესიული მომზადების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შემდგში ვერ შეძლებენ ახალი მანქანების მართვას და ვერ უზრუნველყოფენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას.

მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვა ღონისძიებებთან ერთად მოითხოვს იმასაც, რომ ჩვენ სისტემატურად ვაწყობდეთ ექსკურსიებს მინდვრებში, პლანტაციებსა და ბაღ-ბოსტნებში, ასევე საჭიროა მოვაწყოთ ხოლმე ექსკურსიები ფაბრიკა-ქარხნებსა და სხვა საწარმოებში, ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ იმას, რომ მოსწავლეებმა წარმოიდგინონ საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილე და, საერთოდ, დაუახლოვდნენ ცხოვრებას.

მოსწავლეები ასევე უნდა შევაჩვიოთ იმას, რომ მათ სკოლის ნაკვეთზე მოუარონ ნარგავებს, დაასუფთაონ სასკოლო ეზო და ქუჩები, მოაგროვონ სამკურნალო მცენარეები და შეასრულონ სხვა მრავალი სასარგებლო დავალება.

რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლაში ბევრი რამ კეთდება ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისათვის, ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლევა, კერძოდ, ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკოლა. აქ სასწავლო წლის დადგომისთანავე იწყება მოსწავლის მორალური მომზადება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის. სკოლას მთაწმინდის პლატოზე გამოყოფილი აქვს მიწის საცდელი ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები იღებენ შრომითს ჩვევებს, სწავლობენ ყვავილებისა და ხეების მოვლა-გახარებას. მოსწავლეებმა ამავე სკოლის ეზოში რამდენიმე წლის წინათ დარგეს სხვადასხვა ჯიშის ხეები, რომლებიც მწვანე საფარად შემორტყმიან სასკოლო ეზოს, სკოლის ეზომივე მოსწავლეებმა შემოღობეს ნაკვეთი, სადაც დარგეს მრავალი ყვავილი და დიდი რაოდენობით გაახარეს ხეხილი.

ჩვენში ბევრი კლასი გადაყვანილია საწარმოო სწავლებაზე. მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის შერჩეულია მრავალგვარი პროფესია. ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სკოლების დიდი ნაწილი მომარაგებულია ხელსაწყო-იარაღებითა და მანქანა-დანადგარებით, მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში მოწყობილია კომბინირებული საამქროები შესაფერისი დანგა-დანადგარებითა და ხელსაწყო-იარაღებით.

სასკოლო სახელოსნოებში სასწავლო გეგმით მოსწავლეები იძენენ შრომითს ჩვევებს. მაგალითად, თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში მოსწავლეები სახელოსნოებში მუშაობენ ჩარხებზე, რკინეულისაგან ამზადებენ სხვადასხვა ნივთს და სადურგლოში აკეთებენ ყუთებს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებისათვის და სხვ.

საწარმოო სწავლება ასევე კარგად არის დაყენებული ქ. ზესტაფონის პირველ და მეოთხე საშუალო სკოლებში, სადაც IX და X კლასების 141 მოსწავლე ორგანიზებულად გადის საწარმოო სწავლებას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

ამრიგად რესპუბლიკის ბევრ სკოლაში შრომა მიზანშეწონილად არის გამოყენებული. იგი აღმზრდელობითი ხასიათისაა, იზიდავს მოსწავლეებს, შეიცავს კვლევის, გამოგონებისა და ცდის ელემენტებს, თანაც ამ შრომით მოსწავლეები ზედმეტად დატვირთული არ არიან.

სოფლის სკოლების მასწავლებლებიც სხვადასხვა გზით აღწევენ მოსწავლეების შრომითს აღზრდას. ზოგი მათგანი ცდებს ახდენს ნიადაგის გაუმჯობესებისათვის, ზოგს კი გამოჰყავს ახალი მცენარეები და წელიწადში ორი მოსავალი მოჰყავთ სკოლის საცდელ ნაკვეთზე.

კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ მოითხოვს საგრძნობლად გავაუმჯობესოთ შრომითი აღზრდა და ამავე დროს საკმაოდ ავამაღლოთ მოსწავლეთა ზოგადი განათლების დონე.

სკოლის მუშაობის გარდაქმნა მიმდინარეობს ახალი გზებითა და საშუალებებით. მოწონავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების ურთიერთგაზიარებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ხელს შეუწყობს სკოლის მუშაობაში იმ ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას, რომლებიც კიდევ უფრო განმტკიცებენ სკოლის კავშირს ცხოვრებასთან, სინამდვილესთან.

პროფესორი ალ. გოგრგაძე.

სამეცნიერო სესია

მახარაძე. (საკ. კორ.). აქ გაიმართა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელსაც დაესწრნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, ნოვატორები.

სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის სხვადასხვა საყურადღებო საკითხზე მოხსენებები წაიკითხეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა პ. ყღენტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ჩხეიძემ, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კიკნაველიძემ.

შრომის ყოველთვიური გარანტირებული ფულადი ანაზღაურების უპირატესობაზე ილაპარაკა სოფელ მელექედურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ჯიჯეიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ და თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები დააყენეს ვ. ჯაბუამ, (კონჭიკათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. ვასაძემ (ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე). სესიაზე სიტყვით გამოვიდა . აგრეთვე საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ა. მეავანაძე.

მახსოვს, ჩემო ლადო ყველაფერი მახსოვს. მახსოვს, როგორ მეჩხრად იყო „დასახლებული“ მანქანებით ეს საამქროები, აქა-იქ თუ მოჩანდა ჩარხები, ახლა კი ისეთი სივიწროვეა, ნემსის უფენიც არ ჩავარდება. აი, ზარის რეკვით თავზე გადამიარა ხიდურმა ამწემ, ორტონიან ჩარხს ფოთოლივით მიაქანებს მაერში, და გამახსენდა როგორ გვქონდა წელი მოწყვეტილი კვანძებისა და დეტალების თრევით, შეხედე, ხელის ამწეები — ტელფერებიც კი დაუდგამთ ამწყობ-ზეინკლებისათვის. აქ იმდენი რამ გაუკეთებიათ, თითქმის ყველაფერი ახალია, დღეები არ გეყოფა გასაცნობად.

— მერე შენ რაო, — მეტყვიან, — ალაფერი! მიხარია, მიხარია, რომ ვუყურებ, ბოლოს და ბოლოს ოდესღაც მეც ხომ ვმონაწილეობდი მისი საფუძვლის ჩაყრაში, ნათქვამია, შენობა საძირკვლიდან უნდა იყოს მტკიცეო. აკი გამოდგა კიდეც!

ამწყობი საამქროდან გამოვედით. რკინიგზის ბაქანს ტვირთავდნენ, გარანდული ფიცრების დროებითი ტანსაცმლით გამოწყობილ ვეებერთელა ჩარხს უდებდნენ, ერთ ვაგონზე ძლივს ეტეოდა. მღებავი დიდი, შავი ასოებით აწერდა მისამართს: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა, ტირანა... პირველი სიტყვები ამოვიკითხე და ყველაფერი ნათელი გახდა, საექსპორტოდ ამზადებდნენ.

შაუთიძე მიმიხვდა, რაზეც ვფიქრობდი, მომიბრუნდა და მითხრა: კვირა არ გავა, უცხოეთში ჩარხები არ გავგზავნთო. ზოგი ბულგარეთში მიდის, ზოგი ვიეტნამში, ზოგი ინდოეთში, ჩინეთისა და პოლონეთის შეკვეთებიც ხშირად გვაქვს.

ჩემთვის წარმოვიდგინე: ჩავა ეს კონტეინერი ადგილზე, შემოხსნიან ფიცრებს, დაამონტაჟებენ საამქროში. მივა რომელიმე მუშა, პრიალა თუნუქის პატარა ნაჭერს მოწიწებით გადაუსვამს სახელოს და ამოიკითხავს ქარხნის მარკას: თბილისი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა. (ოდესღაც, პირველი ხუთწლედების დროს ჩვენც ასე ვკითხულობდით წარწერებს საზღვარგარეთიდან შემოტანილ მანქანებზე — „გაკეთებულია ინგლისში“, „გაკეთებულია შვეიცარიაში“...).

მესიამოვნა, ძალიან მესიამოვნა ეს ამბავი. ასე მეგონა ახალი, დიდი სასიხარულო გავიგე-მეთქი. განა წინათ არ მსმენოდა ამაზე, მაგრამ საკუთარი თვალით რომ ნახავ, სულ სხვაა.

— მართლა, პატივცემულო ნიკოლოზ, — განაგრძო შაუთიძემ, — ბერიშვილი არ გინახავთ? დიდი ხანი არ არის, რაც ჩინეთიდან დაბრუნდა. ერთ წელიწადს დარჩა პეკინში, ჩინელებს ეხმარებოდა, კონსულტაციას უწევდა. ბევრ საინტერესო ამბებს უყვება. იმაზე ადრე სამნი იყვნენ ანშანში, ქაშიაშვილი, ბაბრო და მანველოვი, ჩინელებს მეტალურგიულ კომბინატში მილდასამუშავებელი ჩარხები დაუმონტაჟეს.

ხედავ! ტაუიდან კი არ შეგადარე ჩვენი ცხოვრება იმ ხელს. არა, ჩვენ ის თბილისელები აღარა ვართ, ამ 30-40 წლის წინათ რომ ვიყავით. ჩვენ ახლა სხვა ადამიანები ვართ. მინდოდა ეს მეთქვა შაუთიძისთვისაც, მაგრამ გავჩუმდი, განა თვითონ არ იცის, ჩემი თქმა რათ უნდოდა?

ვიგრძენი, ვიღაც მომიახლოვდა. გამოვერკვიე, მიმოვიხედე, ვეხტიბიულში ორი-სამი კაცილა დარჩენილიყო, — მგონი თქვენ გიზმობენო...

ალბათ, მიხვდებოდი, ვილი, რომ ბიუროზე ამდენს არავინ მალაპარაკებდა, რა, ჩემს მეტი საქმე არ ჰქონდათ, თუ? მოგწერე ის, რასაც მე ვფიქრობდი სხდომაზე შესვლის წინ. გაგიკვირდება, როდის იყო მამაჩემი ასე გრძელ უსტარს მიგზავნდაო, მაგრამ ხომ იცი, სამსახურიდან გადამდგართა სენი, მემუარების წერა რომ გაიტაცებთ ხოლმე, მეც ასე მომივდა, მოცილი კაცი მაშინვე მივუჯექი წერილის თხზვას, პირველად გამიჭირდა, მაგრამ მერე წყალივით წავედა. სიტყვაც ამიტომ გამიგრძელდა.

ბიუროზე მოკლედ ილაპარაკეს, მაგრამ ძალიან კი შემაქეს.

დამსახურებული, უანგარო ადამიანია, კეთილსინდისიერად, სულითა და გულით ემსახურა სამშობლოსო. — მადლობა გამომიცხადეს, შუამდგომლობა აღძრეს, პერსონალური პენსიის დასანიშნავად.

ახა, დაფიქრდი, შვილო, რამოდენა პატივია ეს ჩემთვის!

ახლა კი ნუ გეშინია, ყველაფერს წავიკითხავ, ჩემო ბიჭიო, ყველაფერს, რასაც შენ მოსკოვიდან მიგზავნი, წიგნებსაც, რომელთა რედაქტორიც ხარ, თარგმანებსაც, „თბილისის განთიადსაც“, რუსულ „პიონერსა“ რომ ბეჭდავდი გაგრძელებებით. ყველა ერთად მაქვს თავმოყრილი. წინათ იმით გაცნობას კი ვერ ვახერხებდი, მაგრამ ისე ბერწები, წავიკითხე-მეთქი, რომ არ გწყენოდა, თორემ ნამდვილად სად მეცალა, ქარხნიდან შინ გვიან ვბრუნდებოდი არაქათგამოლეული, გაზეთის თვალის გადავლებას ძლივს ვასწრებდი, ძილი მტაცებდა თავს. ახლა კი სხვა რა საქმე მაქვს, მარტო შენკი არა, ჩემი რძლის ელენეს ლექსებსა და თარგმანებსაც სიამოვნებით ჩავაუსწორებ, რასულ გამზატოვის წიგნი რომ უთარგმნია, ვნახე. ნეტავ სერგო აქ იყოს. მოცლილი ვარ. სკოლაში წავიყვან-წამოვიყვანდი. რომ იცოდე, როგორ მოშენატრა. საითაც გაიხედავ, კედელზე თუ მაგიდაზე, სულ მაგის სურათები აქვს ბებიამისს, ჩამორიგებული. ამის იქით ბევრი რამისთვის მოვიცალ. წინათ გულში ხინჯად მქონდა, ჭალაქის საბჭოსათვის იმდენს რომ ვერ ვაკეთებდი, რამდენიც მიწადა (მე ხომ 1935 წლიდან ყველა მოწვევის დეპუტატი ვარ).

რა დიდებული, რა კეთილშობილური საქმეა ხალხის სამსახური! ჩემი ცხოვრება ხომ ამას მოვანდომე, რამდენ პასუხსაგებ თანამდებობაზე მიმუშავია, მაგრამ რა ვქნა, გამოგიტყდები და გეტყვი, რომ სულ სხვაა დეპუტატობა.

ერთხელ ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშას, გვარი არ მახსოვს, საქალაქო საბჭოს აღმასკომში განცხადება შეეტანა, წერილშვილი ვარ, ვიწროობას განვიცდი, ბინა მომეციოთო. ავლაბარში ცხოვრობდა. მივედი, რას ნახავ, ექვსი თუ შვიდი სული ნახევრად სარდაფის პატარა ოთახში იმყოფება. შევწუხდი.

შენი თვალით ნახეო. მკითხა თავმჯდომარემ. — რა თქმა უნდა! — მაშ, კარგი, მივცეთო. — ყველამ მხარი დამჭირა.

ახალ, ფართო ბინაში გადაიყვანეს. მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა, ვინ იცის, მაგრამ სადაც კი შემხვდება ის კაცი, გამაჩერებს, მომიკითხავს, თქვენს ამაგს რა დამავიწყებსო. მეათასე მადლობას მეტყვის და წავა.

ადამიანი გიხდის მადლობას, გესმის, ადამიანი! ამაზე ძვირფასი სხვა რა უნდა იყოს!

ხედავ, რამდენ რამეზე იფიქრა ამ ცოტა ხანში შენმა მოხუცმა მამამ. თავი აკასავით მაქვს გამოტენილი, ფუტკრებივით ზუზუნებენ ფიქრები.

ნუ გეშინია, ამის შემდეგ ხშირ-ხშირად ელოდე წერილებს. პასუხს აღარ დაგიგვიანებ. ჩემს რძალს მოკითხვა. ბიჭი დამიკოცნე“...

ს. ხარაზიშვილი.

* * *

სურათზე: ნ. ორგონაკიძე.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ...

ტექნიკუმი და ინჟინერთა სამჭედლო — ასე ეძახიან ფოთელები ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმს, რომლის ნათელ ოთახებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში დილიდან ვგიან ღამემდე ან წყდება თეორიული თუ პრაქტიკული მეცადინეობა. დღის საათებში სამსართულიანი შენობის ყველა ოთახში მისივე მუდმივი მასპინძლები — ტექნიკუმის მოსწავლეები მეცადინეობენ, ხოლო საღამოს მათ სხვენი ცვლიან.ეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ფოთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის სტუდენტები არიან, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს საინჟინრო განათლებას.

გასულ სასწავლო წელს პუნქტის 16-მა სტუდენტმა დაიცვა დიპლომი და მიიღო ინჟინრის სპეციალობა. ამჟამად კი პუნქტის ყველა კურსზე სწავლობს 200-ზე მეტი სტუდენტი, მათ შორის პირველ კურსზე მიღებულია 72 სტუდენტი.

**კ. კომპასიძ

ეპოქის პრობლემაა მშვიდობიანი თანაარსებობა

უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაზე

საზღვარგარეთის პრესა აშუქებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ახალი წლის შეხვედრის ზეიმზე კრემლში. გაზეთები გამოყოფენ გამოსვლის იმ ადგილებს, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი იმედს გამოთქვამს, რომ 1961 წელს განმტკიცდება საყოველთაო მშვიდობა და გაუმჯობესდება ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

„ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ გაუმჯობესდება ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან", „დაე დაქროლოს ახალმა სიომ", „იმედნიერი იყოს 1961 წელი"— ასეთი სათაურებით ბერლინის დემოკრატიული გაზეთები აქცეუნებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ახალი წლის შეხვედრის ზეიმზე კრემლში. როგორც გაზეთი „ნაციონალ-ციტუნგი" აღნიშნავს, საბჭოთა თავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ გაუმჯობესდება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა. გაზეთები აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავენ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა ადამიანებს სურთ, რომ ძველი წლისა და ძველი პრეზიდენტის წასვლასთან ერთად წარსულს ჩაბარდეს ცუდი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ჩეხოსლოვაკიის პრესა აქცეუნებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის ტექსტს. გაზეთებში ყურადღებას იქცევს სათაურები „ნ. ს. ხრუშჩოვი: გაიწმინდოს არაჯანსაღი ატმოსფერო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში" („რუდი პრავო"). „სსრ კავშირი იმედოვნებს გაუმჯობესოს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საბჭოთა მთავრობა არ დაიუნებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილონ ამერიკის „უ-2" ჯაშუში თვითმფრინავის ფრენის ინციდენტი („პრაცე"), „ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე დამოკიდებულია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესება" („ზემედელსკე ნოვინი").

პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა დაბეჭდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლის ტექსტი დიდი სათაურებით: „სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის!", „სსრ კავშირს სურს გაუმჯობესოს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და იმედს გამოთქვამს, რომ ... განახორციელებენ ამერიკელი ხალხი და ახალი პრეზიდენტი", „ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობისათვის". „ტრიბუნა ლუდუ" ხაზგასმით აღნიშნავს: საბჭოთა კავშირი უდიდეს ღონისძიებას ახორციელებს და ახმარს იმას, რომ იმეგობროს ყველა ხალხთან. სსრ კავშირი კვლავაც ეცდება გააჯანსაღოს საერთაშორისო მდგომარეობა, გაუმჯობესონ ყველა სახელმწიფოს ურთიერთობა, მიაღწიონ დიად მიზანს, რომელსაც ესწრაფვის ყველა ხალხი.— განამტკიცონ მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

მოსკოვი გვიჩვენებს სწორ გზას, რომელითაც უნდა განვითარდეს საერთაშორისო ვითარება, წერს ბულგარული გაზეთი „ზემედელსკო ზნამე". სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოებია, და უწინარეს ყოვლისა ამ სახელმწიფოებზეა დამოკიდებული, თუ რას უჩვენებს იმ ბარომეტრის ისარი, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო მდგომარეობას, — „მოწმენდილ" თუ „ქარიშხლიან" ამინდს.

დღეს ყოველ ადამიანს ღირსეულად შეუძლია შეაფასოს სულგრძელობა საბჭოთა მთავრობისა, საბჭოთა ხალხისა, წერს დასასრულ გაზეთი. ყოველ ადამიანს შეუძლია გაიგოს, თუ რა სამედო საფუძველი ეყრება საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას მოსკოვის მეგობრობის ამ აქტით. და ახლა ყველას წინაშე ისმება საკითხი: როგორ შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობა პრეზიდენტ კენედის მეთაურობით მათთვის პატიოსნად გაწვდილ ხელს? ყურად იღებენ თუ არა ისინი კაცობრიობის სურვილს? ამ პასუხს მოელიან ყველგან ჩვენს პლანეტაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ დიდი ინტერესი გამოიწვია რუმინეთის რესპუბლიკის მშრომელებში. ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოქვეყნა სიტყვის შინაარსი ასეთი სათაურებით: „საბჭოთა კავშირი დიდ ყურადღებას უთმობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას", „სსრ კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა და ახმარს იმას, რომ განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან". ნ. ს. ხრუშჩოვი იმედს გამოთქვამს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „მუნკა", რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში გადაიშლება ახალი ფურცელი. გაზეთი „სკინტეია" აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, რომელიც საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის გამოხატულებაა, კმაყოფილებით შეხვდა მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი. (საკდესი).

,,მოსკოვი გვიჩვენებს მუშვიდობიანი განვითარების სწორ გზას"

ალჟირი კვლავ იგრძვის

გრძოლები, მიტინგები, დემონსტრაციები გელგიაში

კუგა ერთგულებას უცხადებს ფიდელ კასტროს

ტელეგრაფი გვატყობინებს

△ **ჩინეთის** სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი რანგუნში ჩავიდა. იგი აქ დარჩება შვიდ დღეს კეთილი ნების ვიზიტად.

△ **1961 წლის** სექტემბრიდან განის რესპუბლიკაში შემოღებულ იქნება სავალდებულო უფასო დაწყებითი სწავლება. ამის შესახებ განაცხადა განის პრეზიდენტმა ნკრუმამ საახალწლო წერილში.

△ **ლაოსის** კანონიერი სამეფო მთავრობის წარმომადგენელმა კინიმ ფოლსენმა და პარტია ნეო ლაო ჰაკ სატის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ პრინცმა სუფანუვონგმა ლაოსის პრემიერ-მინისტრს პრინც სუვანა ფუმას, რომელიც კამბოჯაში იმყოფება გაუგზავნეს დეპეშა და მიიწვიეს, რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს ლაოსში. სუვანა ფუმას იწვევენ იმისათვის, რომ სათავეში ჩაუდგეს კანონიერი მთავრობის პრაქტიკულ საქმიანობას და იკისროს ლაოსის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა.

△ **იემენის** იმამის წარმომადგენელმა კაიროში სეიფ-ულ-ისლამ ისმაილმა განაცხადა, რომ ინგლისია სამხედრო-საჰაერო ძალებმა განახორციელეს მთელი რიგი გააფთრებული თავდასხმები იაფის რაიონზე სამხრეთ იემენში. პარტიზანთა რაზმებმა ჩამოაგდეს ინგლისის ორი თვითმფრინავი.

△ **როგორც** კაიროდან გადმოგვცემენ, ყოველკვირეული „როზ ელ-იუსეფი" იუწყება, რომ „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კომპეტენტურმა წრეებმა მიიღეს ცნობები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ შექმნას ატომური ბაზა ისრაელში". „ეს ბაზა, — აღნიშნავს ყოველკვირეული, — იქნება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მიერ აფრიკასა და აზიაში შექმნილი სამხედრო ბაზების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი". (საკდესი).

სამხედრო პარადი ჰავანაში

ჰავანა, 3 იანვარი. (საკდესი). ჰავანის „პლასა ს